დავით ხოგელია

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველი

დავით ხოგელია
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

საპროცესო შეთანხმების საფუძველია გარიგება ბრალზე ან შეთანხმება სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების შეთავაზება ბრალდებულისათვის წარმოადგენს პროკურორის უფლებამოსილებას. საპროცესო შეთანხმების შედეგად, საბრალდებო დასკვნის ნაცვლად, პროკურატურა სასამართლოს წარუდგენს შუამდგომლობას სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს შეთანხმებას ბრალდებულსა და პროკურატურას შორის - ბრალდებულის მხრიდან ბრალის აღიარების ან სასჯელზე დათანხმების შესახებ, ხოლო პროკურატურის მხრიდან ბრალდებულის მიმართ სასჟელის მაქსიმუმის განსაზღვრის შესახებ.ამ ინსტიტუტის სამშობლოდ ითვლება ამერიკის შეერთებული შტატები. საკანონმდებლო დონეზე ამ ინსტიტუტის რეგლამენტირება მოხდა მას შემდეგ, რაც მისი გამოყენების გამოცდილება უკვე დაგროვილი იყო პრაქტიკაში.

მრავალი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისიტემა იცნობს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ამერიკულ კონცეფციას, თავის სამშობლოშო საპროცესო შეთანხმება XIX საუკუნიდან იყო ცნობილი, თუმცა ამ ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგლამენტაცია და ამერიკის სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკაში დამკვიდრება მოხდა მხოლოდ 1971 წლიდან, 1975 წელს ალიასკას შტატში აიკრძალა გარიგების დადება პროცესის გარკვეულ სტადიაზე – როდესაც სამართალში მოცემულ პირს ოფიციალურად წაუყენებენ ბრალს.

აშშ-ში საპროცესო შეთანხმება საკანონმდებლო რეგლამენტაციამდე არსებობდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ამერიკული სასამართლოები საპროცესო შეთანხმების გამოყენების წინააღმდეგნი იყვნენ და იმდენად ღრმად იჭრებოდნენ ბრალდებულის კომპეტენციაში, რომ ცდილობდენ ბრალდებულის დარწმუნებას გაფორმებული საპროცესო შეთანხმების ანულირებაში. თუმცა ვითარება მკვეთრად შეიცვალა მეოცე საუკუნეში. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ნიუ-ორკის შტატში, 1839 წლიდან 1926 წლამდე საპროცესო შეთანხმებათა რაოდენობა გაიზარდა 20%-დან 90%-მდე.

აშშ იუსტიციის სტატისტიკის ბიურომ 2006 წელს დაადგინა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულების 94% საპროცესო შეთანხმებით მთავრდება.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი შემოღებულ იქნა 2004 წლის 24 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული დამატებების შედეგად. აღნიშნული დამატების შედეგად, საპროცესო კოდექსს დაემატა 64’ თავი, რომლითაც განისაზღვრა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შინაარსი.

საპროცესო შეთანხმება არის ბრალდებულსა და პროკურორს შორის შეთანხმება წაყენებულ ბრალზე ან მოსალოდნელ სასჯელზე, რომლის საფუძველზეც სასამართლო გამოიტანს განაჩენს საქმის არსებითი განხილვის გარეშე. საპროცესო შეთანხმების არსი განმარტებულია კოდექსის 209.1 მუხლში, რომლის თანახმადაც სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. გარდა ამისა, საპროცესო კოდექსის 210.2 მუხლის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს, მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება ბრალდებულსა და პროკურორს შესაძლებლობას აძლევს, რომ თავიდან აიცილონ საქმის არსებითად განხილვის ხანგრძლივი პროცედურა და შეთანხმდნენ ბრალდებულისათვის წაყენებულ ბრალზე ან სასჯელის ზომაზე. გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, როგორც წესი, ბრალდებული იღებს

შედავათს ბრალის ან სასჯელის შემსუბუქების სახით.

საპროცესო შეთანხმება გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას. შეთანხმების მხარეები არიან პროკურორი და ბრალდებული. პროკურორის ინტერესია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება, რაც გამოიხატება შემდეგში:

მართლმსაჯულების სისწრაფესა და სახელმწიფო რესურსების დაზოგვას ხელს უწყობს განაჩენის დადგომის გამარტივებული ფორმა - სასამართლო კამათისა და მტკიცებულებებზე დავის გარეშე;

სისტემის ეფექტურობას უზრუნველყოფს ბრალდებულის დაინტერესება გამოძიებასთან თანამშრომლობით, რის შედეგადაც საპროცესო შეთანხმება ეხმარება სახელმწიფოს სხვა დანაშაულებათა გახსნაში, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასა და ბრალდებულის რესოციალიზაციაში.

საპროცესო შეთანხმება გულისხმობს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანას, როდესაც მიღწეულია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე.

ბრალზე შეთანხმების შემთხვევაში, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და თანხმდება სასჯელზე.

სასჯელზე შეთანხმება გულისხმობს, რომ ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს, მაგრამ თანახმაა პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასჯელის ზომასა და სახეზე. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 209). 2006 წლის 28 აპრილს სსსკ-ში შესულმა ცვლილებებმა განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა საპროცესო შეთანხმებას – სასჯელზეც შეთანხმებისას, რადგან საერთოდ ამოღებულია ბრალდების ნაწილში არ აღიარდება და მითითებულია, რომ „ სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას. თუმცა ეთანხმება პროკურორის სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულიად განთავისუფლებაზე "ამდენად ბრალდებული აღიარებს თუ არა წაყენებულ ბრალდებას, საპროცესო შეთანხმების დადებისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭება ..

საპროცესო შეთანხმების მთავარი პრინციპებია ნებაყოფლობითობა, მხარეთა თანასწორობა და ბრალდებულის კანონიერი ინტერესების უპირატესი დაცვა:

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ბრალდებულის შეცდომაში შეყვანა ან მისი ინტერესების არასათანადოდ გათვალისწინება, კანონმდებლობით გარანტირებულია ადვოკატის მონაწილეობა პროცესში; (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 210)

ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს, უარი თქვას შეთანხმების გაფორმებაზე; (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 213)

საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ თანამშრომლობის ფარგლებში მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება; (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 214)

ბრალდებულს შეუძლია გაასაჩივროს შეთანხმების შედეგად გამოტანილი განაჩენი, თუ ადგილი ჰქონდა მოტყუებას, მუქარას, დაშინებას, იძულებასა ან ძალადობას. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 215)

საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს საჯარო ინტერესი, დანაშაულისა და სასჯელის სიმძიმე, აგრეთვე ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 210

ცალკე აღებული საპროცესო შეთანხმება არ წარმოშობს რაიმე იურიდიულ შედეგებს სასამართლოს მიერ მისი ლეგიტიმაციის გარეშე.

სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ბრალდებულის ნების გათვალისწინებით და რომ იგი სრულად აცნობიერებს შეთანხმების არსს და მის შესაძლო შედეგებს.

ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 213) შესაბამისად, სასამართლო სავალდებულო წესით განიხილავს ორ უმნიშვნელოვანეს საკითხს:

საპროცესო შეთანხმების გაფორმების კიდევ ერთი – დამოუკიდებელი საფუძველია განსაკუთრებული თანამშრომლობა საგამოძიებო ორგანოებთან. თანამშრომლობის არსს განსაზღვრავს საპროცესო კოდექსის 218.1 მუხლი. ამ მუხლის თანახმად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ

პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე.

კანონის ამ ნორმიდან ირკვევა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების გაფორმება საქართველოს მთავარ პროკურორთან, რომლის საფუძველზეც იგი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით რომ გათავისუფლდეს ბრალდებული პასუხისმგებლობისაგან ან გადაიხედოს მსგავრდებულის სასჯელი. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბრალდებული ან მსჯავრდებული თანამშრომლობს საგამოძიებო ორგანოებთან და მათ მიაწვდის ინფორმაციას დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან მძიმე/განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ. ასევე, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებით უნდა იქმნებოდეს დანაშაულის გახსნისათვის აუცილებელი არსებითი პირობები.

აღნიშნულ საფუძველზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება, მისი განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, რამდენიმე თავისებურებით ხასიათდება. კერძოდ, განსაკუთრებული თანამშრომლობის საფუძველზე გაფორმებული საპროცესო შეთანხმება ამ სტატიის დასაწყისში განხილული (შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე) საპროცესო შეთანხმებისაგან განსხვავდება შემდეგი პირობებით:

1) საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ ფორმდება საქართველოს მთავარ პროკურორთან მაშინ, როდესაც ბრალის აღიარებასთან და სასჯელის შერჩევასთან დაკავშირებული საპროცესო შეთანხმება იდება ბრალდებულის საქმის ზედამხედველ უშუალო პროკურორთან – საქართველოს მთავარ პროკურორთან შეთანხმების საფუძველზე;

2) განსაკუთრებული თანამშრომლობის საფუძველზე საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს არა მხოლოდ ბრალდებულთან, არამედ მსჯავრდებულთანაც. მსჯავრდებული არის პირი, რომლის მიმართაც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და შეუფარდა სასჯელი. ამით იგი განსხვავდება ბრალთან და სასჯელთან დაკავშირებული საპროცესო შეთანხმებისაგან, რომელიც მხოლოდ ბრალდებულთან შეიძლება გაფორმდეს;

3) განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება საგამოძიებო ორგანოებისათვის. იმისათვის, რომ შეიქმნას ასეთი საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძვლები, აუცილებელია, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ქმნიდეს გაცხადებული დანაშაულის გახსნისათვის არსებით პირობებს. დანაშაულის გახსნის არსებითი პირობები იქმნება მაშინ, როდესაც მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რეალურად შესაძლებელი ხდება მითითებული დანაშაულის გახსნა.

ახალი სისხლის სამართლის პროცესი საბოლოოდ ადასტურებს რომანულ-გერმანული და საერთო სამათლის სისტემების დაახლოების ტენდენციას, ამერიკული საპროცესო კანონმდებლობის მოდელის ძლიერ გავლენას და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ამერიკული საპროცესო სამართლის ორი მახასიათებლის გათვალისწინებით წარმოადგენს, კერძოდ ძირითადი სასამართლო სხდომის დაწყებამდე წინასწარ სხდომაზე ბრალდებულის წარდგენა, სადაც მას დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში „ პირანგემენტ”-ს სთავაზობენ, რაც აღიარებულ ბრალდებათა აღნიშვნას ნიშნავს, ან ბოლო „ცონტენდერე”-ს დამტკიცებას რაც ნიშნავს, რომ ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას და სასჯელის შემსუბუქებით გამაგტყუნებელი განაჩენის გამოტანას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს დაკავებული ბრალდებულის პირველ წარდგენას 48 საათში მაგისტრატ მოსამართლესთან იმპერატიულად ითხოვს მოსამართლისაგან საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობის საკითხის გარკვევას და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებას .

ამ ეტაპზე საპროცესო შეთნხმების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა მხარეებს არ ართმევს უფლებას საქმის სასმართლოში განხილვის ეტაპზე, სასამართლო კამათის დაწყებამდე გამოიყენოს საპროცესო შეთანხმება. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების XXI თავი საპროოცესო შეთანხმების არსს არ ცვლის, თუმცა მას მოქმედებისათვის შეუზღუდავ გარემოს სთავაზობს, კერძოდ დაზარალებულს ართმევს სისხლის სამართალწარმოებაში სამოქალაქო სარჩელის უფლებას და საპროცესო შეთანხმების შესახებ მხოლოდ შეტყობინებას აძლევს ამასთანავე სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პროკურორი წინასწარ საპროცესო შეთანხმების დადებამდე კონსულტაციას გადის დაზარალებულთან

თუმცა აღნიშნული კონსულტაციის შედეგად პროკურორს გადაწყვეტილების შეცვლას არ ავალებს .

ასევე, ახალი საპროცესო კოდექსი არ იხსენებს მანმადე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასამართლო გამოძიების გაუქმების ან შეკვეცის კონტინენტურ მოდელს. ახალი კოდექსით ბრალდებულის მიერ ბრალეულად თავის ცნობის შედეგია საპროცესო შეთანხმება. ბრალეული ცალმხრივად საკუთარი დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ უთანხმდება პროკურორს ბრალდების მოცულობის თაობაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ახალი საპროცესო კანონმდებლობით, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასმართლო, საპროცესო შეთანხმების არსებობის შესახებ ნაფიც მსაჯულდა ინფორმირება სავალდებულოა.

საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის განვითარებაში სამი ეტაპი შეგვიძლია გამოვყოთ 1) 2004 წლის 13 თებერვლის ცვლილებებით შემოსული პირვანდელი სახე, 2) ცვლილებები და დამატებები საპროცესო შეთანხმების თავში 2009 წლამდე, რასაც პირობითათ 2005 წლის მოდელი შეგვიძლია ვუწოდოთ, 2005 წლის 25 მარტს მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო და 3) 2009 წმის 9 ოქტომბერს მიღებულ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული სახე, რომელის 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში. საპროცესო შეთანხმების ბოლო ორ სახეს შორის ნაკლები არსებითი განსხვავებაა და შესაძლებელია იმის თქმაც, რომ რეალურად მხოლოდ ორ 2004 და 2005 ვარიანტებთან გვაქვს საქმე, მაგრამ გამომდინარე იქიდან რომ 2009 მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულიად ახლებურად უდგება პროცესს და სხვა პრინციპებზეა აგებული. თუნდაც ეს საპროცესო გარიგების საკითხს ნაკლებად შეეხებოდეს, მისი ცალკე მოდელად გამოყენება ლოგიკურია

კრიტიკოსების აზრით ქართული საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი მოსამართლეთა შეზღუდული უფლებებია. განსაკუთრებული კრიტიკა სისხლის სამართლის კოდექსის იმ ცვლილებებზეა მიმართული, რომლებმაც მოსამართლეს ჩამოართვა უფლება, საპროცესო შეთანხმებაში მითითებულზე ნაკლები სასჯელი შეეფარდებინა და მისი როლი მხოლოდ მხარეების მიერ შეთანხმებული სასჯელის დანიშვნა-არდანიშვნით განსაზღვრა.

ამ მოსაზრების საპირირსპიროდ ქართული სისტემის დამცველებს პირველ რიგში ის არგუმენტები მოჰყავთ, რომ საპროცესო შეთანმხება სწორედაც შეთანხმებაა - პროკურორსა და ბრალდებულს შორის, ბრალდებულის სრული სამართლებრივი ინფორმირებულობის პირობებში ძალდატანებისა და მუქარის გარეშე დადებული. და რომ კანონიერად დადებული შეთანხმების კანონიერ პირობებში ჩარევისა და ერთპიროვნულად მათი შეცვლის უფლების არ მიცემა მოსამართლეთა შეზღუდვას ნამდვილად ან ნიშნავს.

საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს მართლმსაჯულების დაჩქარების და ეფექტიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ის ფართოდ არის აპრობირებული საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის მრავალ ქვეყანაში და როგორც ნაშრომიდან დავინახეთ ცალკეული სპეციფიკური თავისებურებით წარმატებით ფუნქციონირებს.

გათვალისწინებული იქნა რა მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება, საქართველოშიც 2004 წლის 13 თებერვალს საპროცესო კანონმდებლობაში შემოღებული იქნა საპროცესო შეთანხმება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა “15”-ე მუხლი, რომელშიც გათვალისწინებული იყო საპროცესო შეთანხმება, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი დამოუკიდებელი პრინციპი, რომელიც ხორციელდება სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით და მისი მიზანია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის “64”თავი მიეძღვნა საპროცესო შეთანხმებასა და სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების პროცესუალურ წესებს, ამავე დროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა “70” მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებას ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,ახალი რედაქცია, 2012 წელი
2. გაბრიჩიძე ნ, საპროცესო შეთანხმება: განვითარება, პერსპექტივები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 წლისთავთან დაკავშირებული სამეცნიერო კომფერენციის მასალები (ჟურნალი) 2011წ.
3. გაბრიჩიძე ნ., საპროცესო შეთანხმება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", 2004, №3, გვ. 54-63; ჟურნ. „სამართალი", 2004, ¹5-6, გვ. 57-62.
4. ხაჩიძე დიმიტრი. საპროცესო შეთანხმება : [სისხლის სამართლის საქმეებზე] / დიმიტრი ხაჩიძე; "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" - თბ., 2004; (ბროშურა პრაქტიკოსი იურისტებისა და თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის).
5. რატიანი ც., საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მათი და რეალობა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", 2006, №3, გვ. 117-153.
6. Шмарев А.И., особый порядок судебного разбирательства – Сделка о признании вины. http:\\Kalinovsky-k.narod.ru\b\ufa20042\shmarev.htm.

ПРИГОВОР СУДА БЕЗ ОСНОВАТЕЛЬНОГО РАЗБИРАТЕЛЬСТВА

ДАВИД ХОБЕЛИц, доктор права, профессор

Соглашение о признании вины является важным институтом быстрого правосудия. Оно широко применяется во многих странах общего права и континентальной Европы. Основой быстрого правосудия является совокупност доказателств вини плюс соглашение о признании вины. Вместе ети два обстоятельства дают возможност осушествления правосудия без основательного разсмотра дела в суде.

THE VERDICT OF THE COURT WITHOUT A THOROUGH INVESTIGATION

DAVIT KHOBELIA, Doctor of Law, Professor

Plea agreement is an important institution of swift justice. It is widely used in many common law countries and continental Europe. The basis for swift justice is a body of evidence plus the blame plea agreement. Hildren two things together make it possible to implement justice without thoroughly examined by the case in court